



დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი ქვეყნის
ჯანმრთელობის დაცვის სისტემა პალიატიური
მზრუნველობასაც მოიცავს. მრავალი წლის
მანძილზე ჩვენში იმ პირებისათვის, რომლებიც
პალიატიური მზრუნველობას საჭიროებდნენ,
მათ შორის, ტერმინალურ სტადიაზე მყოფი
პაციენტებისათვის, არ არსებობდა ადეკვატური
რესურსები.

დღეს პაციენტებისათვის გარკვეულ ფარგლებში
უკვე ხელმისაწვდომია პალიატიური
მზრუნველობა, როგორც ბინაზე მოვლის, ისე
სტაციონარში (საავადმყოფოში) გაწეული
სამედიცინო მომსახურების სახით.



რას არის პალიატიური მზრუნველობა

პალიატიური მზრუნველობა თანამედროვე მედიცინის განუყოფელი ნაწილია. მისი მიზანია ტკივილისა და სხვა ისეთი შემაწუხებელი, ხშირად კი მტანჯველი, სიმტკომების მოხსნა, როგორცაა ძლიერი სისუსტე, ყაზობა და ნაწლავთა გაუვლარობა, სლოკინი, გულისრევა და ღებინება, სუნთქვის გაძნელება, ხველა და სხვა. პალიატიური მზრუნველობა ეხმარება და პაციენტებსა და მათ ოჯახებს, აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს.

საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, კანონებში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“¹ და „პაციენტის უფლებების შესახებ“² პალიატიური მზრუნველობა შემდეგნაირად არის განმარტებული:

„აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმტკომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; ასეთი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“.

პალიატიური მზრუნველობა შეიძლება განხორციელდეს საავადმყოფოში (პალიატიური მზრუნველობის განყოფილებაში ან ჰოსპიში) ან ბინაზე.

დღეს საქართველოში პალიატიური მზრუნველობა უკვე დანერგილია, თუმცა მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობა ქვეყნის მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი არ არის.

რამდენად ხელმისაწვდომია პალიატიური მზრუნველობა

მხოლოდ ხუთიოდე წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი გახდა თანამედროვე სტანდარტების პალიატიური მზრუნველობის (როგორც საავადმყოფოში, ისე ბინაზე მოვლის სახით) მიღება.

2005 წელს გაიხსნა პალიატიური მზრუნველობის პირველი კლინიკა (ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის განყოფილება). არსებობს პალიატიური მზრუნველობის 2-2 საწოლი ქუთაისში, ბათუმსა და ხუგდიდში.

აღნიშნულ განყოფილებებში პალიატიური მზრუნველობა მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა). კერძოდ, საავადმყოფოში პალიატიური მზრუნველობისათვის მოქალაქეები იხდიან მომსახურების საერთო საფასურის (75 ლარი/დღე) მხოლოდ 30%-ს, რაც ამჟამად დღეში 22.5 ლარს შეადგენს. ანუ, საავადმყოფოში გატარებული თითოეული დღისათვის მოქალაქეები იხდიან 22 ლარს და 50 თეთრს².

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის პალიატიური მზრუნველობა შესაბამის კლინიკებში უფასოა. მომსახურების საფასურს ფარავს ის სადაზღვევო კომპანია, რომლის პოლისსაც ფლობს დაზღვეული.

ბინაზე პალიატიური მზრუნველობა გრანტით დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდა 2004 წლიდან. 2005-2006 წლებიდან ბინაზე პალიატიური მზრუნველობა დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. თბილისში ბინაზე პალიატიურ ზრუნვას ახორციელებს სპეციალურად მომზადებული 2 მობილური ბრიგადა, რომელთაც ერთდროულად 70 პაციენტზე ზრუნვა შეუძლია. მომსახურებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო³.

1. პალიატიური მზრუნველობის საკითხებზე ცვლილებები კანონებში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების შესახებ“ შევიდა 2007 წლის 8 მაისს, საქართველოში პალიატიური მზრუნველობის განვითარების ინიციატივების ძალისხმევის შედეგად.
2. ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, მუხლი 6, პუნქტი 8.
3. ინკურაბელურ პაციენტთა ბინაზე პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი ფინანსდება პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ინფორმაციის მიღება საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ

სრული ინფორმაციის ფლობა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურებისა და ცხოვრების წესის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ჩვენს ქვეყანაში მიღებულია, რომ პაციენტს დაუმალონ სერიოზული დაავადების დიაგნოზი და ამის შესახებ პაციენტის ახლობლებს, როგორც წესი, ოჯახის წევრებს აცნობებენ ხოლმე.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ პაციენტს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ყოველი შეზღუდვის გარეშე. კერძოდ, კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (მუხლი 7) მითითებულია შემდეგი:

„საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, აგრეთვე მოიძიოს მეორე აზრი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“

კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ დეტალურად განმარტავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მოგეწოდოთ, როგორც პაციენტს (მუხლი 18);

1. პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია:

...

გ) განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ;

დ) სამედიცინო გამოკვლევების შედეგების შესახებ;

ე) განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ;

ვ) განზრახულ სამედიცინო მომსახურებაზე გაცხადებული უარის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

ზ) დიაგნოზისა და სავარაუდო პროგნოზის, აგრეთვე მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ იმავე კანონში ყურადღება გამახვილებულია თქვენთვის, როგორც პაციენტისათვის ინფორმაციის გასაგები ენით მოწოდებაზე. კერძოდ კანონის მე-19 მუხლში გაცხადებულია შემდეგი:

„პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წამომადგენელს ინფორმაცია მიეწოდებათ მათი აღქმის უნარის გათვალისწინებით. განმარტებების მიცემისას სპეციალური ტერმინები მინიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.“

ამრიგად, როგორც ერთი, ისე მეორე კანონი უფლებას აძლევს პაციენტს მიიღოს სრული ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ეს ინფორმაცია მოწოდებულ უნდა იქნას გასაგები და ადვილად აღსაქმელი ფორმით.

ზემოაღნიშნულთან ერთად პაციენტს უფლება აქვს გაეცნოს სამედიცინო ჩანაწერებს (სამედიცინო ისტორიას). „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან ქმედუწმარობის შემთხვევაში, ნათესავს ან კანონიერ წამომადგენელს უფლება აქვთ გაეცნოს სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვონ სამედიცინო ჩანაწერების ნებისმიერი ნაწილის ასლი.

შეუძლია თუ არა ექიმს დაუმალოს პაციენტს სრულყოფილი ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ

პაციენტისათვის ინფორმაციის დამალვა სერიოზული დაავადების შესახებ დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიცია იყო. დღეს პროფესიული ეთიკაც და კანონმდებლობაც ითხოვს, რომ ექიმმა სიმართლე უთხრას პაციენტს. ამასთან, არის ერთი გამონაკლისი: როცა ექიმს აქვს საფუძველი ვარაუდისა, რომ დაავადების შესახებ სიმართლის თქმა შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს პაციენტისათვის, მას შეუძლია დაფაროს სრული ინფორმაცია. მაგრამ პაციენტმა უნდა იცოდეს, რომ თუ იგი დაუჩინებლად მოითხოვს ინფორმაციას, მათ შორის სამედიცინო ისტორიის ნახვას, ექიმი ვალდებულია უთხრას მას სრული სიმართლე.

„საექიმო საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონში აღნიშნული საკითხი შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული (მუხლი 39, პუნქტი 3):

„თუ პაციენტი დაუჩინებლად მოითხოვს ინფორმაციის მიღებას, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია მიაწოდოს მას ეს ინფორმაცია.“

ამრიგად, პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე ექიმი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია მიაწოდოს მას სრულყოფილი ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაავადების მიმდინარეობის და პროგნოზის, აგრეთვე, მკურნალობის შესაძლებლობების შესახებ.

შეუძლია თუ არა პაციენტს უარი თქვას ინფორმაციის მიღებაზე

პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას ინფორმაციის მიღებაზე საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისთვის გასაწვეი სამედიცინო მომსახურების შესახებ (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 20).

ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ექიმი ვალდებულია ინფორმირებული თანხმობა მიიღოს მისგან ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის წინ და თუ პაციენტს სრულყოფილ ინფორმაციის არ მიაწვდის, თანხმობის მიღება ვერ მოხერხდება (მაგ., ჭირურგიული მანიპულაციის ან სხივური თერაპიის წინ). ასეთ შემთხვევაში თქვენვე განსაზღვრეთ, ვისგან მიიღოს ექიმმა ინფორმირებული თანხმობა (თქვენი მეუღლე, შვილი, მშობელი, და ან ძმა და ა.შ.). ექიმი პაციენტის ასეთ გადაწყვეტილებას სამედიცინო ისტორიაში დააფიქსირებს და მისივე ხელის მოწერით თხოვს გადაწყვეტილების დადასტურებას.

გადანყვეტილების მიღება კალიატიური გზის მეშვეობით შესახებ

ექიმი ვალდებულია ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის წინ პაციენტისგან მიიღოს ინფორმირებული თანხმობა. კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ“, ეს მკაფიოდ არის აღნიშნული (მუხლი 22):

„სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუნარიანობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარიანობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურებას.“

ინფორმირებული თანხმობის გულისხმობს პაციენტისთვის მკაფიოდ, ადვილად გასაგებ

ინფორმაციის მოწოდებას იმ სამედიცინო მომსახურების თუ ჩარევის შესახებ, რომელსაც ექიმი სტავაზობს. ექიმმა მხოლოდ მას შემდეგ უნდა ითხოვოს პაციენტისგან თანხმობა, როცა დარწმუნდება, რომ პაციენტმა კარგად გაიაზრა რაზეა საუბარი, რატომ უნდა ჩატარდეს სამედიცინო ჩარევა, რა მიზანი აქვს მას, ახლავს თუ არ ტკივილი და დისკომფორტი, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს და რა ალტერნატიული მეთოდები არსებობს.

დაუსვით კითხვები ექიმს, თუ რაიმე გაუგებარია და რომელიმე ზემოთ აღნიშნული საკითხი (მაგ., შესაძლო გართულებები) კარგად ვერ აღიქვით. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ შემთხვევაში უარი თქვათ სამედიცინო ჩარევაზე ან აირჩიოთ რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ერთ-ერთი ან მოიძიოთ მეორე აზრი, ანუ თქვენთვის საინტერესო საკითხზე ესაუბროთ სხვა ექიმს. ამის უფლებას თქვენ კანონი გაძლევთ (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 7): „პაციენტს უფლება აქვს მეორე აზრის მოსაძიებლად დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას.“

პაციენტს უნდა ახსოვდეს, რომ ექიმი მოვალეა ჩართოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განუმარტოს სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მიიღოს თქვენი თანხმობა ამა თუ იმ სამედიცინო ჩარევის წინ.

რა მოხდება, უარის შემთხვევაში

პაციენტს შეუძლია უარი თქვას სამედიცინო ჩარევაზე. ექიმი შეეცდება, გაარკვიოს, კარგად გაიაზრა თუ არა პაციენტმა შემოთავაზებული სამედიცინო ჩარევის არსი და მიზანი, ასევე მოვალეა გაარკვიოს, ხომ არ ახდენს გავლენას გადაწყვეტილებაზე რაიმე დაავადება ან მისი გართულება (მაგ., დეპრესია) და შეეცდება სხვა კოლეგებთან ერთად ადეკვატური მკურნალობა შესთავაზოს მას.

თუ ექიმი დარწმუნდა, რომ პაციენტმა კარგად გაიაზრა ყოველივე და მას შესწევს გადაწყვეტილების მიღების უნარი, ის მოვალეა დაეთანხმოს პაციენტის აზრს და არ მიმართოს აღნიშნულ სამედიცინო ჩარევას (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 23.2).

ვის ეცოდინება პაციენტის დაავადებისა და მკურნალობის შესახებ

ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და პაციენტის დაავადებისა და მკურნალობის შესახებ აცნობონ მხოლოდ იმ პერსონალს, რომელიც ჩართულია პაციენტისთვის გაწეულ სამედიცინო მომსახურებაში (ექთნები, მომვლელები, კონსულტანტები და სხვა).

რაც შეეხება პაციენტის ნათესავებსა და ახლობლებს, მათ ინფორმაცია ექიმმა უნდა მიაწოდოს მხოლოდ პაციენტთან შეთანხმების შემდეგ.

პაციენტმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ვის და რა მოცულობით მიაწოდოს ინფორმაცია ექიმმა ან სხვა სამედიცინო პერსონალმა. აღნიშნულის თაობაზე „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლში გაცხადებულია შემდეგი:

„ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში“.